



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 27
2021 წლის 25 მაისი
ქ. თბილისი

**2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების,
კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების
დამტკიცების შესახებ**

„ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 25 მარტის სამსახურებრივი ბარათების (N283667) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი (შემდგომში კონკურსი).
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს პროექტის თავფურცელი ამ ბრძანების დანართი N2 -ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს მენტორის და კონსულტანტის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს პროექტის გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის და ბიუჯეტის დასაბუთება ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

შემსრულებელი:

ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

-----  ----- /მარიამ იაშვილი/

შეთანხმებულია:

1. ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

-----  ----- /ეკატერინე ბუთლიაშვილი/

2. საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

-----  ----- /მალხაზ ხოფერია/

3. სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი

-----  ----- /ქეთევან გაბიტაშვილი/

10. დამტკიცდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. დამტკიცდეს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
13. დამტკიცდეს კონკურსში მონარილე პროექტებისათვის საბოლოო ქულის გამოთვლისა და დაფინანსების წესი ამ ბრძანების დანართი N12-ის შესაბამისად;
14. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტი - მირანდა თედემშვილი და მთავარი სპეციალისტი თორნიკე სხირტლაძე.
15. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
16. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

